

IN MEMORIAM



თამილა მგალობლიშვილი

არსებობენ ადამიანები, რომელთა ამ ქვეყნიდან წასვლა, როგორც მათი პიროვნული თვისებებიდან, ისე საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე განსაკუთრებით საგრძნობი და მტკივნეულია. ასეთ ადამიანთა შორისაა თამილა მგალობლიშვილი.

ხშირად გახსენდება, გახსენებისას გრძნობები ირევა, ერთმანეთს მონატრება, გულისტკივილი და უზომო სინანული ენაცვლება, შეგრძნება რეალობისა, რომელიც მოკლებულია მისეულ სიბოლესა და ურთიერთობის საოცარ კომფორტს, უსაზღვრო ოპტიმიზმს. ფიზიკურად სუსტი, ასეთივე სუსტი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმით, საქმეში ბავშვივით ცნობისმოყვარე, ფუნქციონირებით მშრომელი, უშრეტო ენთუზიაზმით, მუდმივად იდეებით სავსე. განსაკუთრებული იყო მისი ახალგაზრდა კოლეგებისადმი დამოკიდებულება, ურთიერთობის ხასიათი, აუხსნელი სიბოლღე, ბუნებრივი ურთიერთობის სიბოლო, სიბოლოვის საოცარი განცდა.

ჩემს მეხსიერებას ამ გამორჩეულად კეთილშობილ, თბილ, უშუალო ადამიანთან ურთიერთობის არაერთი კადრი შემორჩა. რატომღაც განსაკუთრებით ცოცხლად მასთან სახლში, ვერაზე, წითებში, სხვადასხვა საქადალდეებით ხელში, მოფუსფუსე, სამომავლო იდეების სიჭარბისგან დაბნეული მახსოვს...

2016 წელს ჩვენს ტრადიციულ კონფერენციაზე წარმოადგინა პრეზენტაცია „ქართული კულტურული მემკვიდრეობა წმინდა მიწაზე“. ფოტოების ფონზე, ექსპედიციის საქმიანობის პრეზენტაციებისას სრულად გარდასახული, ცოცხლად და ემოციურად, გვაცნობდა ექსპედიციის საქ-

მიანობის შედეგებს. ყოველგვარ რეგლამენტს გადააცილა.

კონფერენციის ფოტოებმა შემოინახა მისი გამოსვლა.

წლებანდელი კონფერენცია მცხეთას მიეძღვნა, მცხეთა წმ. მიწის გარეშე, ხოლო ეს ერთობლიობა თამილა მგალობლიშვილის გარეშე ისევე შეუძლებელია, როგორც მასზე წარსულში საუბარი.

ამდენად, შევეცადე, ეს მტკივნეული დანაკლისი, მისივე ნაშრომით „მცხეთა – ქართველთა ახალი იერუსალიმი“, შემეფხო.

მცხეთა – ახალი იერუსალიმი – ამის შესახებ საუბარს მასზე უკეთ ვერავინ შეძლებს. ეს იქნება დასტური, მცხეთის მუზეუმის საექსპოზიციო სივრცეში, მისი კვლევის შედეგების ასახვის აუცილებლობისა.

უდრმესი მადლობა ქალბატონებს – მზია სურგულაძეს, მზია ჯანჯალიას, ლელა ხოფერიას, ნაშრომის „ახალი იერუსალიმები საქართველოში“¹ გამოყენების ნებართვისათვის.

ეკა კაჭარავა

¹ „ახალი იერუსალიმები საქართველოში“, თამილა მგალობლიშვილი, თბ., 2013, გვ. 8-40

"მცხეთა - ქართველთა ახალი იარუსალიმი"

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წმ. ქალაქ იერუსალიმის ხატებათა შექმნა უკვე IV საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება და მათ ახალი იერუსალიმები ეწოდება.

...მათ შორის სრულიად გამორჩეულია საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა...

საქართველოსა და წმინდა მიწას შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ ნაბუქოდონოსორ დიდის დროიდან იწყება, როდესაც ებრაელთა პირველი ტალღა შემოდის ქართლში – იბერიაში¹. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, შემდეგშიაც ებრაელთა კიდევ რამდენიმე ნაკადი მოსულა და დასახლებულა საქართველოში².

თუმცა ებრაელი თემის ქართლში არსებობის დამადასტურებელი ფაქტები, ჯერჯერობით, ახ. წ.-ის I საუკუნეებით თარიღდება მხოლოდ³.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უძველესი ქართული წყაროების – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ (VII-XI სს.) – ცნობით, ელია წინასწარმეტყველის ხალხი და უფლის კვართიც მცხეთაშია დაფლული. ისინი მცხეთაში მოსულმა დევნილმა ებრაელებმა წმ. მიწიდან სამოიტანეს და მათი დაფლვის ადგილს საიდუმლოდ ინახავდნენ საუკუნეების მანძილზე⁴.

IV ს-ის 20-იანი წლებიდან, იბერიაში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ, სრულიად განსაკუთრებულია ქართველთა დამოკიდებულება წმ. მიწისადმი, განსაკუთრებით კი, წმ. ქალაქ იერუსალიმისადმი.

უძველესი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით,

1 ქართლის ცხოვრება, ს. ენციკლოპედიის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 15-16

2 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 44; 100-101. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 53

3 Mgaloblishvili T., Juden und Christen in Georgien in den ersten Christlichen Jahrhunderten, Juden und Christen in der Antike, ed. J. van Amersfoort und J. van Oort, (Kampen: Kok, 1990), pp. 94-100; თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, (თბ., 1991), გვ. 165-182. T.Mgaloblishvili, I.Gagoshidze, "The Jewish Diaspora and Early Christianity in the Caucasus", Iberica Caucasia, ed. T.Mgaloblishvili, vol. 1., (Richmond: Curzon, 1998), pp. 46-58

4 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგთოგრაფიული დისტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქციით, (თბ., 1963), გვ. 127-128, 130

New Jerusalem
in Georgia

ახალი იერუსალიმები საქართველოში

1. წიგნის ყდა, „ახალი იერუსალიმები საქართველოში“, თამილა მგალობლიშვილი, თბ., 2013



2. გურგურის ხაშუბი, კახეკელის მხარე, აღმ. ნინო

ქართლის განმანათლებელი, მოციქულთა ხალხი აღმ. ნინო ქართლში იერუსალიმიდან მოდის IV ს-ის დასაწყისში. პირველად იგი ქ. ურბნისში დაიდებს ბინას. იგი აქ ერთი თვე რჩება იქაურ ებრაელ თემში „ენისათვის ებრაელებისა“⁵.

ურბნისის შემდეგ აღმ. ნინო მოდის მცხეთაში. აქაც მას განსაკუთრებით ახლო ერთიერთობა ახლა უკვე მცხეთელ ებრაელებთან აქვს. მის მიერ მოქცეულთა შორისაც პირველნი კვლავ ებრაელები არიან: აბიათარი შემდგომ პირველი ქრისტიანი მღვდელი მცხეთაში, მისი ქალიშვილი სიდიონია და სიდიონიას მეგობარი ქალები. ქართული წყაროებიდან ასევე საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ აღმ. ნინო იბერიის მაცხოვრის კვართის ნაკვალევზე მოდის და აქვეა ჩართული ისტორია ქრისტეს კვართის მცხეთელ ებრაელთა მიერ იერუსალიმიდან მცხეთაში მოტანისა და მისი საიდუმლოდ დაფლვის შესახებაც⁶.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უემოდასახელებული წყაროებისათვის, იბერიის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით თხრობისას, განსაკუთრებით დამახასიათებელია მცხეთელი ებრაელი მოსახლეობის დეაქლის აღნიშვნა და მათი წინაპრების დაკავშირება I ს-ის ქრისტესდროინდელ იერუსალიმთან⁷.

5 იხ. „მოქცევაი ქართლისა“, გვ. 117-118; თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, გვ. 169
 6 იხ. „მოქცევაი ქართლისა“, გვ. 128-130, 133; თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, გვ. 169
 7 იხ. მგალობლიშვილი თ., კლარჯული მრავალთავი, გვ. 169; გ. ვერაძე, საქართველოს ეკლესიის

ეფიქრობ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უძველეს ქართულ წყაროთა მიხედვით, წმ. ნინოს მთელი მოძღვრება, მისი ისტორია იერუსალიმური, პალესტინური წარმოშობისაა და მას სხვა ტრადიციას ვერ მივაკუთვნებთ⁸.

წმ. ნინოს ისტორიის პალესტინურ წარმოშობაზე მიგვიბრუნებს ასევე „მოქცევაში“ შემონახული წმ. ნინოს ლოცვის ტექსტიც, სადაც მიწითა და წყლით ნათლისღებაზეა საუბარი. ფაქტობრივად, ეს ტექსტი, გერმანელი მეცნიერის ფერი ფონ ლილიენფელდის აზრით, ამ არეალისათვის დამახასიათებელ ძალზე ადრეულ – IV-V სს-ის (431 წ. ეფესოს კრებამდე) დოქსოლოგიურ ტრადიციას წარმოგვიდგენს⁹.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ეფიქრობ, მოულოდნელი არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ქართლში ქრისტიანობა მის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდე (320-იანი წწ.) უკვე იქადაგებოდა ებრაელ-ქრისტიანთა მიერ. ქართლში მოსული პირველი მისიონერებიც ქრისტიანობის უძველესი, პალესტინური ტრადიციის აღმსარებელი იყვნენ. ხოლო წმ. ნინოს ქართლში მოღვაწეობის ისტორია, ალბათ, შექმნილი და ჩაწერილი უნდა იყოს მცხეთელ ებრაელ-ქრისტიანთა წრეში არამეულ დიალექტზე, საიდანაც იგი მოგვიანებით (დაახლ. IV-V სს.-დან) ქართულად ითარგმნა¹⁰.

ეფიქრობ, ამის დასტურია „მოქცევა ქართლისას“ ტექსტში, მაგრამ მხოლოდ წმ. ნინოს ისტორიის ფარგლებში, გამოვლენილი ე.წ. სინტაქსური სირიზმები¹¹. ამ ფაქტთან დაკავშირებით უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციები ასევე დამახასიათებელია არამეულისთვისაც¹², რომელიც ებრაელ-ქრისტიანთა ერთ-ერთი სამწერლობო ენა იყო¹³. ამასთანავე, საყურადღებოა ისიც, რომ არამეული ძალზე გაერცვლებული იყო ქართლში არა მარტო როგორც ხასაუბრო, არამედ როგორც სამწერლობო ენაც, რაზედაც მეტყველებს საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებიც. აქვე, ალბათ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არამეულის ერთ-ერთი განშტოება – ე.წ. არმაზული

⁸ უძველესი ისტორიის პრობლემები, მოხსენება წაკითხული ოქსფორდში 1932 წლის 24 მასის; G. Peradze, Die Probleme der ältesten Kirchengeschichte Georgiens, Oriens Christianus, 29, Bd. 7, Wiesbaden, 1932, pp. 153-171

⁹ მგალობლიშვილი თ., კლარჯული მრავალთავი, გვ. 168-182

¹⁰ იხ. იქვე, გვ. 172, შენ. 71; Fairy von Lilienfeld, "Amt und geistliche Vollmacht der heiligen Nino, 'Apostel und Evangelist' von Ostgeorgien, nach den ältesten georgischen Quellen," in Horizonte der Christenheit: Festschrift für Friedrich Heyer zu seinem 85. Geburtstag (ed. Michael Kohlbacher and Markus Lesinski; Oikonomia 34; Erlangen: Lehrstuhl für Geschichte und Theologie des Christlichen Ostens, 1994), pp. 224-49; G.W.H. Lampe, D.D., A Patristic Greek Lexicon, (Oxford: Clarendon Press., 1994, p. 286

¹¹ იხ. მგალობლიშვილი თ., კლარჯული მრავალთავი, გვ. 172

¹² ქურციკიძე ვ., „მოქცევა ქართლისას ტექსტისა და ენის საკითხები“, ფილოლოგიური ძიებანი, ტ. 1, (თბ., 1964), გვ. 93-95; იხ. ასევე იდ. აბუღაძე, ქართული და ხიმბური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, (თბ., 1944), გვ. 54; G.Garitte, "Vies Géorgiennes de S.Symeon Stylite L'ancien et S.Ephrem", Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 171, Scriptorum Iberica, t.7, (Louvain: L. Durbecq, 1957), p. 19

¹³ ცნობა მომავლად ბ-მა კოტე წერეთელმა, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ მისი. იხ. თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, გვ. 172, შენ. 70

¹⁴ Mgaloblishvili T., Gagoshidze I., "The Jewish Diaspora and Early Christianity in the Caucasus", p. 41; Апокрифы древних христиан : Исследования, тексты, комментарии, (Москва, 1989), с.54; А.Л. Хосров, Александрийское христианство : по данным текстов из Хар Хаммади, (Москва, 1991), с.10; E. Schürere, The history of the Jewish People in the age of Jesus Christ, New English version revised and edited by G. Vermes, F. Miller & M. Black, (Edinburgh: Clark, 1979), v.2, pp.20-81; A.A. Erhardt, "Judaeo-Christians in Egypt: the Epistulae Apostolorum and the Gospel of Hebrews", Studia Evangelica, Bd. 3.B., (Berlin: Akademie-Verlag, 1963), pp. 361



3. სვეტიცხოველი, სვეტი უფლის კვართის დაფვის ადგილას

– მცხეთისა და ურბნისის ებრაულ თემებში ქრისტიანთა არსებობის ნაკვალებზე შესაძლებელია, მიგვითითებს მცხეთის მახლობლად წინაქრისტიანულ ქართლში ერთ-ერთი ოფიციალური სამწერლობო ენა იყო¹⁴.

იბერიაში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე ქრისტეს სჯულის მიმდევართა არსებობაზე მიუთითებს როგორც ქართული, ასევე უცხოური წერილობითი წყაროები. ამასვე მოწმობს საქართველოს ტერიტორიაზე მთელ რიგ რაიონებში ნატარებელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქრისტიანული სამარხები, რომლებიც II-III სს-ით თარიღდება¹⁵.

მცხეთისა და ურბნისის ებრაულ თემებში ქრისტიანთა არსებობის ნაკვალებზე შესაძლებელია, მიგვითითებდეს მცხეთის მახლობლად სამთავროსა და ურბნისის სამაროვანთა გარკვეულწილად გამოკვეთილი თავისებურება, რითაც ისინი განსხვავდებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა სამაროვანთაგან და რაც, უთუოდ, შემდგომ კვლევას მოითხოვს¹⁶.

ახლა კი ენახოთ, წმ. ნინოს საოცარი ძალისხმევით მცხეთა ნელ-ნელა როგორ ხდება ქართველთა ახალი იერუსალიმი. ამ ტერმინში – ახალი იერუსალიმი – რატომ უნდა, ვგულისხმობ იმ იერუსალიმს, რომელიც კონსტანტინე დიდმა აღადგინა იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების წმ. ადგილების მოძიებით¹⁷. ვგულისხმობ იმ წმინდა ქალაქს, სადაც მაცხოვარი ჯვარს ეცვა და აღდგა, სადაც იგი მოვიდა როგორც მესია, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველებმა ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში იწინასწარმეტყველეს¹⁸.

საქართველოს უძველესი დედაქალაქის – მცხეთის ქრისტიანულ ქალაქად გადაქცევა ასევე დაკავშირებულია იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების წმ. ადგილების შექმნასთან ამ ქალაქში. თუმცა მცხეთაში ახალი იერუსალიმის შექმნის საფუძველი სხვა ახალი იერუსალიმებისაგან განსხვავებით, წმ. ადგილების დაფუძნებასა და წმ. რელიკვიების გადატანასთან ერთად, ძირითადად, იერუსალიმური, ქრისტეს საფლავის ეკლესიის დვთისმსახურების წესის შემოღება იყო, რომელიც მცხეთაში და მთელ ქართლში ქართულად აღესრულებოდა V ს-დან – მხედველობაში მაქვს იერუსალიმური ღვთაობის წიგნები: იერუსალიმური ღვთაობის, უძველესი იადგარი და მრავალთავი, რომელთა ქართული თარგმანები უკვე V-VI სს-დან დასტურდება, მათი ბერძნული ორიგინალები კი დღეისათვის დაკარგულია და, ამდენად, ქართულ თარგმანებს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება¹⁹.

14 წერეთელი გ. უძველესი ქართული წარწერები კავკასიიდან, (თბ, 1960), გვ. 50-51; თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, გვ. 170; T. MgalobliShvili, I. Gagoshidze, "The Jewish Diaspora and Early Christianity in the Caucasus", pp. 46-58
15 მგალობლიშვილი თ., კლარჯული მრავალთავი, გვ. 170
16 მგალობლიშვილი თ., კლარჯული მრავალთავი, გვ. 170; T. MgalobliShvili, I. Gagoshidze, "The Jewish Diaspora and Early Christianity in the Caucasus", pp. 46-58
17 Guran P., "The Constantinople – New Jerusalem, at the Crossing of Sacred Space and Political Theology", in New Jerusalem, Hierotopy and Iconography of Sacred Spaces, ed. A. Lidov, (Moscow: Indrik, 2009), pp. 42-46
18 Mason S., Josephus and the New Testament, (Peabody, Mass: Hendrickson Publishers, 2003), pp. 268-269; მოციქულთა საქმენი 2:16, 25; 4:11, 25; 8:35; ლუკა 24:27, 44
19 Кекелидзе К., Иерусалимский Канонарь VII века, (Тифлис, 1912); К.Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, 1908; G.Garitte, Le Calendrier Palestino-Géorgien du Sinaiticus 34 (X-e siècle), ed. G.Garitte, (Bruxelles: Société des bollandistes, 1958); Le grand Lectionnaire de l'Eglise de Jérusalem (V-VIII siècle), ed. M.Tarnichsvili, I-II, (Peters Publishers, 1959-1960), CSCO, vol. 188, 189; A. Renoux, Le codex arménien Jérusalem 121, Patrologia Orientalis, t. 35, fasc. 1; t. 36, fasc. 2, (Turnhout, Brepols, 1969-71); ა. შანიძე, „ხანმეტის ღვთაობის“, ძველი ქართული ენის ძეგლები, ტ. 1, (თბილისი, 1944); ა. შანიძე, „ხანმეტის მრავალთავი“, თბილისის უნივერსიტეტის

ქალაქ მცხეთაში მოსულ წმ. ნინოს სრულიად წარმართული ქალაქი ხვდება. იგი თავდაპირველად მცხეთაში, სამეფო ბაღში წერდება, სადაც, ტრადიციის თანახმად, უფლის კვართი იყო დაფლული. წმ. ნინო ხსენებულ ბაღში თითქმის 9 თვე ცხოვრობს და ღოცულობს ამ წარმართი ქვეყნის მოსაქცევად²⁰. ამის შემდეგ, სრული განმარტოების მიზნით, იგი ქალაქის კედლის გარეთ, „მაყვლოვანში“ დაიდებს ბინას²¹.

ფაქტობრივად, ამ პერიოდიდან იწყება წმინდანის სამოციქულო მოღვაწეობა იბერიასში, რომელიც გამორჩეულია წმ. ნინოს სადღეღამისო ღოცვებითა და სასწაულებით.

სამეფო ოჯახის მოქცევის შემდეგ, წმ. ნინოს მეოხებით ქართლის დედაქალაქ მცხეთაში აქტიური საეკლესიო აღმშენებლობა იწყება. ქართული წყაროების ცნობით, წმ. ნინომ პირველი პატარა ხის ეკლესია სამეფო ბაღში ააშენა. ამ ეკლესიის მშენებლობისას მან სამეფო ბაღში მაცხოვრის კვართის დაფლვის ადგილზე სასწაულებრივად აღმოცენებული, უმშვენიერესი ღიბანის კედარი გამოიყენა. ამ ხისგან მან, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ეკლესიის ბურჯებად შეიღო სვეტი გამოათლევინა, რომელთაგან ექვსი ადვილად აღმართეს მშენებლებმა. მეშვიდე სვეტის აღმართვა, რომელიც წყაროში მოიხსენიება როგორც „სვეტი ნათლისა“, „სვეტი ცხოველი“, მხოლოდ წმ. ნინოს გულმხურვალე ღოცვის შედეგად მოხერხდა. განთიადისას იგი ცეცხლის სვეტის მსგავსად ამაღლდა ზეცად და მხოლოდ შემდეგ დაუბრუნდა თავის ფუძეს. ამ სასწაულის აღწერით წყარო გვამცნობს ეკლესიის საკრალ-ობაციის ფაქტს, აქვე აღნიშნულია ეკლესიის სახელწოდებაც: „წმიდაა წმიდათა“²².

ზემოხსენებულ წყაროებში აღნიშნული ტაძრის სახელწოდება „წმიდაა წმიდათა“, ასევე ეკლესიის საერთოდაც გამოთლილი სვეტების რაოდენობა – შვიდი, რა თქმა უნდა, სოლომონ მეფის მიერ აშენებულ ძველადთქმისეულ ტაძარს უკავშირდება. „წმიდაა წმიდათა“, როგორც ცნობილია, აღნიშნავს მოსეს კარავსა და შემდეგ სოლომონის ტაძარში იმ წმინდა ადგილს, სადაც სჯულის კიდობანი იყო მოთავსებული. მაგრამ „წმიდაა წმიდათა“ ძველადთქმისეულ კარავსა და ტაძარში უწმინდესი ადგილი იყო არა მხოლოდ იმის გამო, რომ აქ სჯულის კიდობანი იყო დადგმული, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო ადგილი ღვთის გამოცხადებისა. სწორედ ამის გამო დაიდგა აქ სჯულის კიდობანიც²³.

მცხეთის ქვემო ეკლესია, იგივე „წმიდაა წმიდათა“, სოლომონის „წმიდაა წმიდათა“ მსგავსად, უწმიდესი ადგილი იყო მთელ საქართველოში, რადგანაც ეს იყო ადგილი უფლის გამოცხადებისა, სადაც მოხესა და სოლომონის „წმიდაა წმიდათა“ განსხვავებით, სჯულის კიდობნის ნაცვლად უფლის კვართი იყო დაფლული. მაგრამ, იმავედროულად, ეს ეკლესია „ღიდი სიონიც“ იყო, როგორც ამას

მოამბე, ტ. VII, 1926; ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ღ. ხეყსერიანი, უძველესი იადგარი, (თბილისი, 1980); M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens, (Louvain-La-Neuve: Peters Publishers, 1975); თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი. გამოცემის წესი?

20 „მოქცევა ქართლისა“, გვ. 122-123

21 იხ. იქვე, გვ. 84, 138

22 იხ. იქვე, გვ. 160; ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 111-119

23 იხ.: მგალობლიშვილი თ., კლარჯული მრავალთავი, გვ. 179; А.Олесницкий, Ветхозаветный храм, Православный Палестинский сборник, т. V, вып. I, (С. –Петербург: Православное Палестинское Общество, 1889), с.176; Josephus Flavius, Josephus: The Essential Writings, A Condensation of Jewish Antiquities and the Jewish War, translated and Edited by Paul L. Maier, (Grand Rapids: Kregel Publications, 1988), p. 141; M. Barker, Fragrance in the Making of Sacred Space, Jewish Temple Paradigms of Christian Worship, this paper was read at the conference on Sacred Spaces convened by the Research Centre for Eastern Christian Culture, (Moscow, 2004), (accessed at <http://www.margaretbarker.com/Papers/default.htm>, 23. 06. 2011)



4. სპითაგრო, მაკედონეთი, V მ. ნინოს სამლოცველო

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს.

საესებით ნათელია, რომ ჯერ კიდევ V მ. ნინოს დროიდან **მცხეთაში – ქართველთა ახალ იერუსალიმში** – აგებული ტაძარი, **„წმიდაა წმიდათა“ – სოლომონის ტაძრის ხატება** იყო, მაგრამ ასევე „დიდი სიონის“ სახელსაც ატარებდა, როგორც თავად **ძველადოქმისეული ტაძარი**²⁴.

საყოველთაოდ ცნობილია, IV ს-დან მოყოლებული, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში როგორ იწეება იერუსალიმის ძველ და ახლადოქმისეულ V მ. ადგილებთან დაკავშირებულ ხატებათა (replika) შექმნა. მათ შორის, აღბათ, უძველესი ტვიროსის ბაზილიკაა, რომლის კურთხევაც 315 წელს მოხდა. ევსევი კესარიელის ცნობით, ამ ბაზილიკის სახელწოდება სოლომონ მეფის სახელს უკავშირდება – იგი არის „წმიდაა წმიდათა“, იმავედროუ-



5. V მ. ნინოს ჯვარი

24 „ქართლის ცხოვრება“ ტ. I, გვ. 198

ლად „სიონიც“, თავად ქალაქი ტვიროსი კი – ფინიკიის ახალი იერუსალიმი²⁵.

უძველესი წერილობითი წყაროებიდან ასევე ხაკმაოდ კარგად არის ცნობილი სხვა მაგალითებიც, თუმცა სრულიად გამორჩეულია იბერიისა და აქსუმის (ეთიოპია) გაქრისტიანების გასაოცრად მსგავსი ისტორია²⁶. ფაქტობრივად, აქსუმი VI ს-ის ახალი იერუსალიმია, ხოლო წმ. ქალაქად მისი გააზრების საფუძველი, მცხეთის ანალოგიურად, კვლავ „სიონია“, იგივე სოლომონის ახალი ტაძარი, სადაც, გადმოცემით, სჯულის კიდობანი იქნა გადატანილი. ბუნებრივია, რომ აქსუმის „სიონიც“ ნართული იქნებოდა ქრისტიანულ საკრალურ გეოგრაფიაში. იქნებ, ამის დასტური იყოს 13 სირიელი მამის იბერიაში მოსვლა²⁷, ხოლო 9 სირიელი მამისა კი – აქსუმში²⁸.

იბერიასა და აქსუმში მოსულ სირიელ მამებს ორივეგან წმ. ქალაქ იერუსალიმის მიწიერი სახეობა დახვდათ თავისი შესაბამისი უწმიდესი ადგილებით, რომელთა საფუძველი ძველადიქმისეული ტაძარი იყო: მცხეთაში – „წმიდა წმიდათა“, იგივე „დიდი სიონი“, რომელშიაც მაცხოვრის კვართი იყო დაფლული, ხოლო აქსუმში – „სიონი“, სადაც, ტრადიციის თანახმად, სჯულის კიდობანი იქნა გადატანილი. ვფიქრობ, მცხეთისა და აქსუმის წმ. ადგილებით, ფაქტობრივად, ამ დროისათვის (VI ს.) შემოიფარგლა ქრისტიანული თიკუმენეს საკრალური გეოგრაფიის რეალური საზღვრები კავკასიონსა და წითელ ზღვას შორის²⁹.

აქსუმის „სიონის“ ეკლესიასთან დაკავშირებით, აღბათ, ასევე საინტერესო იქნება გაეხსენოთ ერთი ძველი გადმოცემა, რომლის თანახმადაც აქსუმის „სიონის“ ეკლესიის ადგილის მონიშვნა „სინათლის, ნათლის სვეტის“ საშუალებით ხდება. საყურადღებოა ასევე ისიც, რომ ლალიბელის (კვლავ ეთიოპია) კომპლექსის ცენტრალურ ტაძარში იდგა სვეტი, რომელსაც „სინათლის, ნათლის სვეტი“ ეწოდებოდა. როგორც რუსი მეცნიერი ა. ლურიე აღნიშნავს, ამ უძველესი ეთიოპური გადმოცემების გაცნობისას სურვილი გინდება, რომ ეს სვეტი არა ეთიოპური სახელით – „amda berhan“ – მოიხსენიო, არამედ ქართულად „სვეტიცხოველი“ უწოდო, რომელიც მცხეთაში აგებულ პირველ ეკლესიაში იდგა³⁰. მოგვიანებით, XI ს-ში, ეს სახელი ეწოდა ამავე ადგილზე აშენებულ საკათედრო ტაძარს, თუმცა იგი მოციქულთა სახელზე იქნა აგებული.

ახლა კვლავ საქართველოს დაუბრუნდეთ: როგორც უკვე ითქვა, წმ. ნინოს „ცხოვრების“ თანახმად, სამეფო ბაღის შემდეგ წმ. ნინომ ქალაქ მცხეთის კედლის გარეთ, „მაყვლოვანში“ – მაყვლის ბუნქებში დაიდო ბინა. ამის მიხედვით წმინდანის

25 იხ. Eusebius Hist Eccl. X,3; X,4.3; 4.25; 4.36; 4.45; X, 4.44; X. 4.70; ix. aseve: A.M.Пентковский «Иерусалимизация» литургического пространства в византийской традиции», Новые Иерусалимы, ред. А.М. Лидов, (Москва: Индрик,2009), с.60-61; ix. aseve: M.Barker, Temple Themes in Christian Worship. (London: t&t clark, 2007), p. 15

26 Haas C., "Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia", Journal of Late Antiquity. 1, 2008. pp. 101-126

27 სირიელი მამების ქართლში მოსვლის შესახებ ვრცელი ბიბლიოგრაფია იხ. დ. მერკვიდაძე, ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო, (თბილისი, 1996), 1-33; იხ. ასევე: ს. ალექსიძე, „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის შესწავლის ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები“, მრავალთაყი, XVIII, 1999, გვ. 12-29; ს. ალექსიძე, „მანდილონი და კერამიონი ძველ ქართულ მწერლობაში“, აკადემია, (თბილისი, 2001), გვ. 9-15; ს. ალექსიძე, „ვინ არის სინას მოახე აღმოსავლელი ასურელ მამათა ცხოვრებაში მოხსენიებული ამასხო დედოფალი?“, კრებ. ახლა აღმოსავლეთი და საქართველო, IV, (თბილისი, 2005), გვ. 206-207

28 Haas C., "Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia", pp. 101-106

29 შტრ. Haas C., "Mountain Constantines: The Christianization of Aksum and Iberia". pp. 101-106

30 იხ. Лурье В.М., "Из Иерусалима в Аксум через храм Соломона: архаичные предания о Сионе и Ковчеге завета в составе Кебра Негест и их трансляция через Константинополь", Христианский Восток, т. 2 (VIII), (Санкт-Петербург, Москва: Алтейя, 2001), стр. 178, п. 101



6. სამთავროს დედათა მონასტერი

სურვილი იყო, რომ უფრო მეტად განმარტოებულიყო და უფრო მეტად მკაცრი ასკეტური ცხოვრებით ეცხოვრა. „მაყვლოვანში“ ცხოვრებისას წმ. ნინომ დაუღალავი, მუდმივი ღოცვით გაითქვა სახელი. აქ მას მრავალი დაემოწავა. „ქვემო ეკლესიის“ შემდეგ, სწორედ „მაყვლოვანის“ ადგილას იწეება მეორე, ასევე პატარა ხის ეკლესიის მშენებლობა, თანაც ისე, რომ არ დაზიანებულიყო „მაყვლოვანი“ – წმინდანის სამყოფელი ადგილი, სადაც მან იხილა მრავალი სასწაული და „კერნებანი დიდი“.

„მაყვლოვანში“ ეკლესიის ასაშენებლად ადგილის საკრავიზაცია თვით წმ. ნინოს მიერ ხდება: წყაროთა თანახმად, ღმრთისმშობლის კურთხევით აქ იგი ვაზის ნასხლევისგან გამოთლის ჯვარს, რომელსაც თავისი თმით შეკრავს, აქვე აღმართავს მას და განაგრძობს გულმხურვალე ღოცვას. ეს ჯვარი წმ. ნინოს ჯვრის სახელითაა ცნობილი და დღემდე თბილისში, ხიონის საკათედრო ტაძარში ინახება. რაც შეეხება „მაყვლოვანს“, ამ შემთხვევაში იგი, რა თქმა უნდა, მოხე წინასწარმეტყველის სახელსა და ბიბლიურ წმ. ადგილს უკავშირდება.

წყაროებში ეს ეკლესია „ხემა ეკლესიის“ სახელით არის ცნობილი. ეს სახელწოდება, ხემა ფიქრით, კვლავ იერუსალიმს, დავითის კოშკთან არსებულ ხიონის მთის

უბნის უძველეს სახელს – „ზემო ქალაქს“ (upper city) – უკავშირდება³¹.

იერუსალიმის წარტყუების შემდეგ წმ. ქალაქში, რაღა თქმა უნდა, აღბათ, იყვნენ ქრისტიანები, თუმცა მათ ბორღოელი მოგზაური (333 წ.) არ მოიხსენიებს. სიონის მთაზე იგი მხოლოდ ერთი სინაგოგის არსებობას ადასტურებს ადრე აქ არსებულ შვიდის ნაცვლად³². კირილე იერუსალიმელი 348 წელს თავის XVI კატეხიზისში საუბრობს სიონის მთაზე არსებული „ზემო ეკლესიის“ შესახებ³³. ეპიფანე ხალამისელი კი 392 წელს მხოლოდ ერთ პატარა ეკლესიას ასახელებს სიონის მთაზე³⁴.

ამრიგად, მცხეთაში, „მაყვლოვანში“ აშენებული „ზემო ეკლესიის“ სახელი, როგორც უკვე აღვნიშნე, შესაძლებელია, სიონის მთის უბნის უძველეს სახელს – „ზემო ქალაქს“ – უკავშირდებოდეს, სადაც მდებარე პატარა ეკლესია, კირილე იერუსალიმელის თანახმად, „ზემო ეკლესია“ იყო. მითუმეტეს, რომ იერუსალიმში სიონის მთა ძველადტქმისეულ ტაძართან და ქრისტეს საფლავის ეკლესიასთან შედარებით, მართლაც, ოდნავ შემადლებულია. „ზემო ეკლესიის“ ადგილი მცხეთაშიაც ოდნავ შემადლებულია მცხეთის პირველ ეკლესიასთან – „წმიდაა წმიდათაჲთან“, იგივე „ქვემო ეკლესიასთან“ შედარებით. ამრიგად, წმ. ნინოს „ცხოვრების“ თანახმად, მცხეთაში აშენებული ორივე ეკლესიის ადგილი საკრალურია. პირველი ეკლესია წმ. კვართის ადგილზე შენდება, მეორე კი „მაყვლოვანში“, რაც ძველადტქმისეულ წმინდა ადგილს უკავშირდება.

ვფიქრობ, ასევე მნიშვნელოვანია წმინდანის „ცხოვრებაში“ მოთხრობილი სამი ჯვრის აღმართვის ფაქტი იბერიაში: მცხეთაში, სასწაულმოქმედი ულამაზესი ხისგან წმ. ნინო ქმნის სამ ჯვარს. ამ ჯვრების აღმართვის ადგილებიც სასწაულებრივად, ვარსკვლავებით მიენიშნება წმინდანს. ამ ჯვართაგან პირველს წმ. ნინო აღმართავს მცხეთის მოპირდაპირე მთის წვერზე, ნიშნად ქრისტიანობის გამარჯვებისა იბერიაში. ეს ტრიუმფალური ჯვარია, რომლითაც კიდევ ერთი წმ. ადგილი მოიწიშნება მცხეთაში – ეს **ქართველთა გოლგოთაა**. დანარჩენ ორ ჯვარს წმ. ნინო ასევე ვარსკვლავებით მონიშნულ ადგილებზე აღმართავს მცხეთის აღმოსავლეთითა და დასავლეთით³⁵. ფაქტობრივად, ამ სამი ჯვრის აღმართვის ადგილებით მოიწიშნება წმ. ნინოს დროინდელი ქრისტიანობის გავრცელების საკრალური სივრცე იბერიაში.

როგორც უკვე აღვნიშნა, პირველი ჯვრის აღმართვის ადგილი ქართველთა გოლგოთა ხდება. ეს ჯვარი, როგორც იერუსალიმის გოლგოთის ჯვარი, ასევე ღია ცის ქვეშ იდგა VI ს-ის დასასრულამდე, ვიდრე აქ წმ. ქალაქის ანალოგიით არ აშენდა მცხეთის ჯვრის მონასტერი ხსენებული ჯვრის დასაცავად. წმ. ნინოს დროიდან ამ ჯვარს, ხეში ფიქრით, უკავშირდება ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტრადიციის ამსახველი ჯვრის დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად ქვემო ეკლესიიდან – „წმიდაა წმიდათაჲთან“ მცხეთის ჯვარზე ღოცვითი მსვლელობით ხრულდებოდა. ეს დღესასწაული V ს-დან უკვე ჩანს იერუსალიმური

31 იხ. Maier P.L., Josephus, The Essential Writings, A Condensation of Jewish Antiquities and Jewish War, 1988, 244, 335-345; ix. ასევე: P.W.L. Walker, Holy City Holy Places? : Christian Attitudes to Jerusalem and the Holy Land in the Fourth Century, (Oxford : Clarendon Press ; New York : Oxford University Press, 1990), pp. 282-308

32 Wilkinson J., Egeria's Travels, Bordeaux Pilgrim, (Warminster: Aris & Phillips, 1999), pp. 30-31

33 იხ. Patrologia Graecae, ed. by J.P.Migne, t.33, Paris, 1886, Cat.16.4

34 Wilkinson J., Jerusalem Pilgrims Before the Crusades, (Warminster: Aris & Phillips, 2002), p. 351; D.Pringle, "The City of Jerusalem" in The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem vol. III. (Cambridge: Cambridge University Press, 2007), p. 261

35 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, გვ. 86, 147-152



ლექციონარის ქართულ თარგმანში (იგულისხმება ხანმეტი ლექციონარი, რომელშიაც ასახულია V ს-ის ლიტურგიკული პრაქტიკა, თუმცა თავად ხელნაწერი VII ს-ისაა), X ს-ში კი ითანე ზოსიმეს კალენდარში³⁶.

ხსენებელი ლიტურგიკული კალენდრებისა და ქართულ ისტორიულ წყაროთა თანახმად, ამ დღესასწაულის სახელწოდებაა „აღვსების ზატიკის ზატიკი“ – აღდგომიდან მე-3 კვირა დღე. უთუოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს დღესასწაული წმ. ნინოს დროიდან საქართველოში ქართველთა გოლგოთასთან – მცხეთის ჯვართან იყო დაკავშირებული, იერუსალიმურ ტრადიციაში კი იგი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს უკავშირდებოდა, როგორც ამას XIV-XV სს-ის ლათინი პილიგრიმები გვამცნობენ³⁷.

აღბათ, ასევე საინტერესოა აღინიშნოს, რომ წმ. ნინოს დროიდან იერუსალიმის „გოლგოთის ჯვარი“, როგორც ჩანს, ძალზე პოპულარული ხდება მთელ საქართველოში. იგი ხევენში „საკურთხეველის წინა ჯვრის“ სახელწოდებითაა ცნობილი (IX-X სს-დან) და დღესათვის, ხეში ფიქრით, მისი ანალოგი შემორჩენილი არ არის არც დასავლურ და არც აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში. ამ ჯვრების მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე, ძირითადად, შემონახულია საქართველოს მთიან პროვინცია სვანეთში და მისი სახით, ვფიქრობ, იერუსალიმის „გოლგოთის ჯვრის“ შუა საუკუნეების სრულიად უნიკალურ ხატებასთან (რეპლიკა) გვაქვს საქმე.

ამრიგად, ქართული წყაროების თანახმად, წმ. ნინო მცხეთაში აშენებს ორ ეკლესიას (მეორე ეკლესია მისი გარდაცვალების შემდეგ სრულდება) და ასევე, მის დროსვე ხდება მთელი რიგი წმ. ადგილების მონიშვნა, რაც აუცილებელი იყო ქართლში იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკის დასამკვიდრებლად. აქვე, იმავედროულად, ძალზე ნათლად ჩანს, რომ წმ. ნინოს მოღვაწეობა იბერიაში ეყრდნობა IV ს-ის 20-იანი წლების წმ. ქალაქ იერუსალიმის ისტორიისა და ტრადიციების ცოდნას. მისთვის სრულიად უცნობია 326 წლიდან ელენე დედოფლის მიერ წმ. ქალაქ იერუსალიმში წმ. ჯვრის აღმოჩენის ისტორია და წმ. ქალაქში ქრისტიანული აღმშენებლობის დაწყების ფაქტი. შესაბამისად, მისი მოღვაწეობა, ვფიქრობ, მხოლოდ ამავე პერიოდით შეიძლება დავითარიდოთ.

წმ. ნინოს გარდაცვალების შემდეგ საოცარი ძალისხმევით გრძელდება წმინდანის მიერ შემოტანილი და დახერგილი იერუსალიმური ქრისტიანობის დამკვიდრება და კიდევ უფრო მეტად განმტკიცება ქართლში.

36 შანიძე ა., „ხანმეტი ლექციონარი“, გვ. 063-064; G.Garitte Le Calendrier Palestino-Georgien du Sinaiticus 34, p. 117; იხ. ასევე: თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, გვ. 155-157; თ. მგალობლიშვილი, „წმ. ჯვრის უძველესი დღესასწაული ქართულ წერილობით წყაროებში“, კრებ. წმინდა ნინო, (თბილისი, 2008), გვ. 226-233

37 Fra Niccolo of Poggibonsi, "A voyage beyond the seas, 1346-1350", Studium biblicum Franciscanum, Collectio Maior, n. 2, (Jerusalem: Franciscan Printing Press, 1993), p. 57; იხ.: თ. დაიცილი, ნაწერები, ტ. 1, (თელ-ავიცი – იერუსალიმი, 1976), გვ. 296-297; იხ. ასევე: Viazio da Venezia al sancto Iherusalem (1480-1500), (Roma, 1972); ლათინური წყაროების თანახმად, ხსენებელი დღესასწაულის აღნიშვნა ხდებოდა აღდგომიდან მეორე კვირას, ხელი ქართული ტრადიციის მიხედვით – აღდგომიდან მესამე კვირას. ფაქტობრივად, ლათინური და ქართული წყაროები ერთი და იმავე დღესასწაულზე მიუთითებენ, თუმცა ლათინთა მიერ დღესასწაულის დღის ათქვლა აღდგომის მომდევნო კვირადღით იწყება, ქართველთა მიერ კი – აღდგომის კვირადღის ჩათვლით



8. სვანეთი, ღაგურკის ეკლესია, საკურთხეველისწინა ჯვარი

IV ს-დანვე, წმ. ნინოს ქართლში მოსვლის შემდეგ, ქართველები დიდი გაცნობიერებით შეუდგნენ ქრისტიანული კულტურის გაცნობას, ახლად დაარსებული ეკლესიისათვის საჭირო ლიტურგიკურის თარგმნასა და გაერცვლებას. ამ მიზნით, ქართველ მეფეთა, დიდებულთა, ეკლესიის მოღვაწეთა, განსაკუთრებით კი, პეტრე იბერის დიდი მცდელობით ქართული კულტურისა და სამწერლობო კერები პირველად წმ. მიწაზე იქმნება, არსდება მონასტრები და საგანგებო. ხეყნს დრომდე მოღწეული ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშებიც (IV-V სს.) სწორედ წმ. მიწაზეა აღმოჩენილი (ნაზარეთის ქართული გრაფიტები)³⁸. აქვე დასტურდება პირველი დამწეშება ქართული ქრონოლოგიისა – „დასაბამითგან“³⁹ და ეთნონიმ „ქართველისაც“ (V-VI სს.)⁴⁰, რომლებიც საქართველოში მხოლოდ VIII-IX სს-დან გვხვდება. ისეთი შთაბეჭდილება მრნება, თითქოს, აქვე უნდა შექმნილიყო ქართული ანბანიც, რომ ქართულად თარგმნილიყო უძველესი იერუსალიმური ლიტურგიკული წიგნები, რათა ქართლში ღვთისმსახურება ქართულად აღსრულებულიყო.

თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია და არა მარტო ნემი⁴¹.

ღვთისათვის სავსებით ნათელია, რომ V ს-დან მოყოლებული X ს-მდე იბერიაში ღვთისმსახურების იერუსალიმური წესი მოქმედებდა და ამ პერიოდს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს „იერუსალიმური ეპოქა“ იბერიაში. V-VI სს-ში ქართულად უკვე ნათარგმნი იყო პირველი ლიტურგიკული წიგნები: ლექციონარი, იადგარი და მრავალთაეი, რომელთაც ქართული ეკლესია ღვთისმსახურებისას, ბუნებრივია, მშობლიურ ენაზე იყენებდა. ვფიქრობ, თვით მეფე ვახტანგ გორგასლის (V-VI სს.) საეკლესიო რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგიც, როგორც ჩანს, ქართლში ღვთისმსახურების იერუსალიმური (ქრისტეს საფლავის ეკლესიის) პრაქტიკისა და ეკლესიაში საღვთისმსახურთ ენად ქართულის დამკვიდრება უნდა იყოს. მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ ქართველები ღვთისმსახურებას თავიანთ მშობლიურ ენაზე ადავლენდნენ არა მარტო იბერიაში, არამედ პალესტინაშიც, წმ. საბასა და წმ. თეოდოსის ღაერებში, რაზედაც მოწმობს როგორც წმ. საბა განწმედილის ანღურძი (532 წ.), ასევე წმ. თეოდოსის ბიოგრაფიც (VI ს.)⁴².

38 იხ. ალექსიძე ს., „ღვეერი, სინას მთა, ნაზარეთი: ეპიგრაფიკული ეტიუდები“, კრებ. მნემე, (თბილისი, 2000), გვ. 18-25

39 Di Segni L., „The Beit Safafa inscription Reconsidered and the Question of Local Era in Jerusalem“, Israel Exploration Journal, v. 43, (Israel Exploration Society, 1993), pp. 157-168; L.Di Segni, A Georgian Chronological System in the sixth-century Jerusalem, 1997, pp. 1-8, (გამოუქვეყნებელი)

40 Mgaloblishvili T., „An Unknown Georgian Monastery in the Holy Land“, Aram, Palestinian Christianity, Pilgrimages and Shrines, (Leuven: Peeters, 2006-2007), pp. 533-537

41 ნემოვის ძღლზე სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ავსტრიულ ბიზანტინისტს პროფ. ვ. ზაიბტს ანალოგიური შეხედულება აქონდა გამოთქმული თავის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებამდე გადმომიგზავნა, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ მისი. იხ. W. Seibt, „Wo, wann und zu welchem Zweck wurde das georgische Alphabet geschaffen?“ in Die Entstehung der Kaukasischen Alphabete Als Kulturhistorisches Phänomen, Referate des Internationalen Symposiums (Wien, 1.-4. Dezember, 2005), in Veröffentlichungen zur Byzanzforschung Bd. XXVII, (Wien, 2011), pp.85-92

42 Patrich J., „Sabas, Leader of Palestinian Monasticism“, Dombarton Oaks Studies XXXII, 1995, pp. 251, 338; aseve: Cyril of Scythopolis, Vita Sancti Sabae, ed. E. Schwartz, (Leipzig, 1939); Theodorus of Petra, Vita sancti Theodosii, ed. H. Usener, (Leipzig, 1890); A.J. Festugière, Les moines d'Orient, III/2: Les moines de Palestine (Paris, 1962), 124 n. 291; J.T.Milik, „Notes d'epigraphie et topographie palestiniennes“, Revue biblique 67, (1960), pp. 354-67; 550-91; იხ. ასევე: კ. კაკელიძე, „ეინ არიან ბეხები“, ეტიუდები, ტ. 1, (თბილისი, 1956), გვ. 84-98



9. სვეტიცხოვლის ტაძარი, იერუსალიმის წმ. საფლავის ეკლესიის რეპლიკა



10. ანტიოქია

წმ. ნინოს შემდეგაც იბერიაში კვლავ გრძელდება ქართველთა ახალი იერუსალიმის შექმნაზე ზრუნვა. მეფე ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს (V-VI სს.), ფაქტობრივად, სრულდება იერუსალიმური ღვთისმსახურების დასამკვიდრებლად საფუძვლის მომზადება. ეს საფუძველი კი ღიბურგთაგან წიგნების თარგმანის გარდა, ქრისტეს ცხოვრების ამსახველი წმ. ადგილების დაფუძნება იყო ჯერ მცხეთაში, ქართლის უძველეს დედაქალაქში და შემდეგ უკვე მის ფარგლებს გარეთ.

როგორც უკვე აღინიშნა, მცხეთაში, ჯერ კიდევ წმ. ნინოს მიერ უფლის კვართის დაფლვის ადგილზე „წმიდაა წმიდათა“, იგივე „დიდი სიონი“ აღმოცენდა IV ს-ში. V ს-დან ეს ეკლესია „მოციქულთა სახელობისა“ და „დედაა ყოველთა ეკლესიათა“ ხდება V ს-ის იერუსალიმის ანალოგიით, ხოლო XI ს-დან დღემდე იგი სვეტიცხოვლის სახელით არის უკვე ცნობილი ამ პირველი ტაძრის მოპირდაპირედ ქართველთა გოლგოთა – მცხეთის ჯვარია აღმართული; აქვეა გეთსიმანია, ბეთლემი, ბეთანია, თაბორი, პირველმოწამე წმ. სტეფანეს ტაძარი, იგივე დღევანდელი ანტიოქია, რომლის მახლობლადაც მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ყოველთა ქართველთა სანათლაგია – ჩვენი იორდანე.

აი, ასე გადაიქცა მცხეთა ქართველთა ახალ იერუსალიმად (IV-V სს-ში), რაც სრულიად გამორჩეულ ადგილს უმკვიდრებს მას და მის შემოგარენს მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცხეთის „წმიდა წმიდათაისა“ (პირველი ეკლესია) და მცხეთის ჯვარს (ქართველთა გოლგოთა) შორის არსებული კავშირი: ისტორიული წყაროები ვრცლად მოგვითხრობენ იმ უცვიური სასწაულების შესახებ, რომლებიც ამ ორ ტაძარს უკავშირდებოდა და მათი აგების საფუძველიც გამხდარა. ხვენს წინაპრებს საუკუნეების მანძილზე წმ. ქალაქის მსგავსად წესად მქონდათ „წმიდა წმიდათაისიდან“ „მცხეთის ჯვარზე“ ღოცვით მსუქელობა. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ „წმიდა წმიდათაისა“ (დღევანდელი ხეტიცხოველი) და „მცხეთის ჯვარს“ (ქართველთა გოლგოთა) შორის გამყოფ ზღუდედ საბჭოთა სამხედრო ბაზა იქცა, რომელიც შეიდა ათეული წლის მანძილზე ქართველ ეკლესიებს საშუალებას არ აძლევდა წინაპართა გზით ევლო. საქართველოს ეკლესიამ მხოლოდ რუსული ბაზების მცხეთიდან გაყვანის შემდეგ შეძლო ამ გზისა და მასთან დაკავშირებული უძველესი ჯვრის დღესასწაულის – აღვსების ზატიკის – აღდგენა 2007 წელს.

V საუკუნეში წმ. მეფე ვახტანგ გორგასალმა საქართველოს სატახტო ქალაქი თბილისში გადაიტანა და, მცხეთის დარად, აქაც დააფუძნა ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ამსახველი წმ. ადგილები იერუსალიმური ღიბურგისი აღსასრულეზღად. ამ გზით მან მცხეთა საქართველოს სულიერ დედაქალაქად და საკათოლიკოსოდ დაგვიტოვა, სადაც დღემდე მირონი იხარშება და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ეკურთხებიან.

43 ფოტოები: გიორგი ნუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ევლევის ეროვნული ცენტრი (სურ. 1, 2, 3, 4, 7, 8, 9, 11); დ. ცხადაძე (სურ. 6, 10); დ. ტოგონიძე (სურ. 5)



MTSKHETA – NEW JERUSALEM OF GEORGIANS

The history of the relations between Georgia and the Holy Land begins as early as the time of Nebuchadnezzar the Great when the first wave of Hebrews came to Kartli – Iberia. According to old Georgian written sources, St. Nino the Illuminator of Kartli, Equal-to-the-Apostles, arrived in Kartli from Jerusalem in the beginning of the fourth century. It is also noteworthy that, according to ancient Georgian sources, the entire teaching of St. Nino and her history is of Jerusalem and therefore of Palestinian origin and should not be connected to any other traditions. According to Georgian and foreign sources, it is noteworthy that Christians were in Georgia before Christianity became the state religion.

It is obvious that beginning from the period of the presence of St. Nino in Mtskheta, the Holy of Holies, the church erected by Georgians in New Jerusalem, was a replica of the Temple of Solomon and it also carried the name of Great Zion, like the Temple of the Old Testament. It is an established fact that beginning from the 4th century, the creation of replicas of the holy sites of Jerusalem from the Old and New Testaments began in different parts of the world. The oldest seems to be the tradition of the ancient church in Tyre. Other examples from ancient written sources include the account of the miraculous conversion of Iberia and Aksum (Ethiopia). Aksum was a New Jerusalem of the sixth century, and the reason for its being considered a holy city is similar to the case of Mtskheta, Zion, i.e., the New Temple of Solomon, where, according to tradition, the Ark of the Covenant had been transferred. It is clear that from the fifth to the tenth century, the liturgy in Iberia was conducted according to the Jerusalem tradition, due to which this period can justly be referred to as the Jerusalem Ep-

och in Iberia. The fifth and sixth centuries saw the translation of the first liturgical books into Georgian, namely of the Lectionary, Tropologion and Polycephalon. These books were used by the Georgian Church in Georgian. After St. Nino, the Georgians made continued efforts to create a New Jerusalem for the Georgians in Iberia. King Vakhtang Gorgasali of the 5th-6th centuries, finally completed the grounds for the Jerusalem rite. His efforts included not only the translation of liturgical books, but also the establishment of holy sites first in Mtskheta, the ancient capital of Kartli and later beyond its borders.

As previously mentioned, the Holy of Holies, i.e. Great Zion was founded by St. Nino in the fourth century on the site where Christ's Chiton had been buried. In the fifth century the Church became consecrated to the Apostles and became the Mother of All Churches, again in the image of the Jerusalem of the fifth century, while from the eleventh century onwards the church was known by its present day name of Svetitskhoveli. Facing the first church erected is the Golgotha of the Georgians, i.e., the Mtskheta Holy Cross Monastery. Nearby are also to be found Gethsemane, Bethlehem, Bethany, Tabor, the Church of St. Stephen the Proto-martyr, and the present Antioch in the vicinity of which, on the left side of the Mtkvari River, is the Georgian baptistery, our Jordan.

This is how Mtskheta in the 4th-5th centuries turned into a second live Jerusalem for the Georgians, which makes it and its environs unique in the entire Christendom.



